სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 8 23 0000891947

17/07/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის რიგგარეშე მობილობის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების მე-19 მუქლის მე-2 და მე-3 პუნქტების, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 11 ივლისის 1.1/100 ბრძანების და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სალომე თათულიშვილის სამსახურებრივი ბარათის (17/07/2023წ; N890734) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის რიგგარეშე მობილობის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

ა) რიგგარეშე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის უნივერსიტეტში განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2023 წლის 31 ივლისიდან - 2 აგვისტოს ჩათვლით;

ბ) ფაკულტეტის მიერ რიგგარეშე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2023 წლის 1 აგვისტოდან - 3 აგვისტოს ჩათვლით;
გ) დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რიგგარეშე მობილობის შედეგები წარმოადგინოს 2023 წლის 4 აგვისტოს;

2.ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
3. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
6.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა